ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7467278

ნომერი: AR11088947

თარიღი : 28.04.2025

გაცემის თარიღი : 05.05.2025

გაცნობის თარიღი : 06.05.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 27 მარტის №7428019 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 28 აპრილს №AR11088947 განცხადებით მომართა ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 27

მარტის №7428019 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 27 მარტის №7428019 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.16.002.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული 01/3 შენობა/ნაგებობის დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 27 მარტიდან 2025 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 27 მარტის №7428019 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული დემონტაჟის ვადა. კერძოდ: „დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 27 მარტიდან 2025 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა „დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 27 მარტიდან 2025 წლის 27 აპრილის ჩათვლით.“
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2025 წლის 25 თებერვლის №AR11079533 განცხადებაზე წარმოდგენილი იქნა მშენებლობის განხორციელების ორგანიზების პროექტი და კალენდარული გრაფიკი 6 თვეზე, თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად დემონტაჟის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 27 მარტის №7428019 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 27 მარტის №7428019 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,3. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 27 მარტიდან 2025 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 27 მარტის №7428019 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 27 მარტის №7428019 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.